

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 013/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ლეკიშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა:

ეთიკის კომისიას ადვოკატმა მიმართა შემდეგი შეკითხვით, თუ ადვოკატი ამჩნევს, რომ მისი კოლეგა და ამავედროულად პროცესუალური მოწინააღმდეგე ადვოკატი, სასამართლო სხდომაზე აყენებს არაერთ შუამდგომლობას პროცესის გაჭიანურების მიზნით და ასეთი ქმედებით ხელს უშლის საქმის დადგენილ ვადაში განხილვას. შეუძლია თუ არა ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა მიმართოს საჩივრით ეთიკის კომისიას კოლეგის მიმართ, კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მითითებით? და რამდენადაა პროფესიული ეთიკური ნორმები დაცული მოწინააღმდეგე ადვოკატის მიერ ასეთი ქმედებებით?

ანალიზი:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა აპეკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ ადვოკატი უნდა მოქმედებს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და მასთან შეთანხმებით, მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობისას მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია, შუამდგომლობები უნდა გამოხატავს კლიენტის ნებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს მისაღები მოწინააღმდეგე მხარისათვის ან მისი ადვოკატისათვის. მოცემულ შემთხვევაშიც, ადვოკატის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს არ ეთანხმება მეორე მხარის ადვოკატი და საფუძვლად უთითებს მის მიერ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას. თავისთავად, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა იმოქმედოს კანონის შესაბამისად, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ შუამდგომლობებით მიმართვა მისი საპროცესო უფლებაა და აღნიშნულის მიზანშეწონილობას, მათ შორის იმის განსაზღვრა, რამდენად ემსახურება ადვოკატის მოქმედებები პროცესის გაჭიანურებას - მოსამართლის შეფასების საგანს წარმოადგენს. ადვოკატის მიერ შუამდგომლობების წარდგენა თავისთავად კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიაა, ამასთან, ადვოკატს თავისი სტატუსიდან გამომდინარე აკისრია ვალდებულება, როგორც კვალიფიციურმა წარმომადგენელმა შეაფასოს საქმესთან დაკავშირებით რა სახის შუამდგომლობები წარუდგინოს სასამართლოს, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა კლიენტის ინტერესების დაცვის დროს. ადვოკატი, როგორც კვალიფიციური მრჩეველი უნდა აცნობიერებდეს, რომ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა დააზარალოს კლიენტის ინტერესები, კერძოდ, სასამართლომ წაართვას მას შუამდგომლობების დაყენების უფლება. შეკითხვაში მოცემული მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში, რადგან აღნიშნული კოლეგებისადმი პატივისცემის დაცვას განსაზღვრავს. მოცემულ შემთხვევაში, კი საკითხი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ პროცესის გაჭიანურების მიზნით შუამდგომლობათა წარდგენას ეხება.

დასკვნა

ადვოკატს უფლება აქვს მიმართოს ეთიკის კომისიას თუმცა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობების შეფასება - სასამართლოს კომპეტენციაა. ამასთან, კომისიას შეუძლია იმსჯელოს წარმომადგენლობა რამდენად ხორციელდება კანონის შესაბამისად, კვალიფიციურად და კლიენტთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში კი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები არ იწვევს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ინტერესები საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საშუალებით.

¹ <https://gba.ge/pdf/5edba8b0ba08e.pdf/zeperi%20013.20.%2024.03.20.pdf>